საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 14 მაისი, 2013 წელი

პრეამბულა

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატრიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- საბიბლიოთეკო მიმართულების სპეციალისტთა მიერ ტრენინგებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- ბიბლიოთეკარის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებაში თანამშრომლობასა დ კონსულტაციების გაწევას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ხელშეწყობას;
- ერთობლივი შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მომზადების მიზნით.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, ბიბლიოთეკის თანამშრომლებიდა სპეციალისტები.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებს.

1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ ბიბლიოთეკარის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის პროექტისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.5. უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებელთა და სპეციალისტთა გაცვლას პროფესიული პრაქტიკებისა და შემოქმედებითი პროექტების ფარგლებში.

1.6. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა:

- საკუთარი კომპენეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სპეციალისტთა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლას;
- ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს პარტლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის დირექტორი — გ. კეკელიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია